ქუთაისის მუნიციალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №12

ქალაქი ქუთაისი
25 აპრილი, 2019 წელი
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;
2. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
3. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" თავმჯდომარე;
4. გიორგი ჭიჭინაძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
5. ლევან როხვაძე - თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე;
6. ქეთევან ბერძენიშვილი - არასამთავრობო ორგანიზაცია უფლებებისა და განათლებისათვის;
7. მეგი ნიჟარაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;
8. თემურ ამყოლაძე - მწერალი;
9. ემზარ ღვინიანიძე - სავაჭრო სამრეწველო პალატა;
10. ვლადიმერ კვიტატიანი - ააიპ ინოვაციური განვითარების ფონდი ,,დრანდა";
11. მაია ყუფარაძე - ჟურნალისტი;
12. მამუკა თევდორაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;
13. ხვიჩა ძინძიბაძე - აქტიური მოქალაქე;
14. ლია გვენეტაძე - მწერალი, ჟურნალისტი;
15. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორი;
16. ხვიჩა ვაშაყმაძე - ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი;

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 22 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 16, სხვადასხვა მიზეზის გამო არ ესწრებოდა 6 წევრი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, რადგან მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობა ესწრება.

სხდომას უძღვებოდა: ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ზურაბ ხურციძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი;

ნოდარ ჯიქია (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) წარადგინა დღის წესრიგი, რომლის მიხედვით წარიმართა შეხვედრა.

დღის წესრიგი
სხდომა 12

1. რეგისტრაცია
2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა.
3. არასამთავრობო ორგანიზაცია "უბან-არტი" პროექტი "ხელოვნების არტ პარკი-სითი" და ფესტივალი "აპერგრაუნდი". პროექტის კოორდინატორი ხვიჩა დოღონაძე -პროექტის პრეზენტაცია.
4. მოქალაქე გიორგი ლომთაძის ინიციატივა აღმაშენებლის გამზირზე პალმების ხეივანთან დაკავშირებით. იდეის წარდგენა.
5. ვოლის-ჯე - პირობები, კრიტერიუმები და ვადები;
6. სურსათის უვნებლობის საკითხი - ლია გვენეტაძის ინიციატივა.
7. საბრძოლო დიდების მუზეუმი, ექსპონატების განახლება- ინიციატორი მაია ყუფარაძე.
8. სხვადასხვა:
9. ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

1. არასამთავრობო ორგანიზაცია "უბან-არტი" პროექტი "ხელოვნების არტ პარკი-სითი" და ფესტივალი "აპერგრაუნდი". პროექტის კოორდინატორი ხვიჩა დოღონაძე - პროექტის პრეზენტაცია, შესაბამისი ვიზუალიზაციით.

პროექტის აღწერა მიმაგრებულია დანართად.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კოხრეიძე, ნინო ხუხუა, ლია გვენეტაძე, ინგა აბრამიძე, ქეთევან ბერძენიშვილი, გიორგი ჭიჭინაძე, ლევან როხვაძე, მეგი ნიჟარაძე, გია ცალანი, ომარ კიკვიძე, ემზარ ღვინიანიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, მაია ყუფარაძე, თემურ ამყოლაძე, მამუკა თევდორაძე, ხვიჩა ძინძიბაძე, ხვიჩა ვაშაყმაძე.

საბჭოს წევრებმა ცნობად მიიღეს ორგანიზაცია უბან-არტი-ს მიერ წარმოდგენილი პროექტი და უსურვეს ავტორს და სარედაქციო ჯგუფს წარმატება.

2. მოქალაქე გიორგი ლომთაძის ინიციატივა პალმების ხეივანთან დაკავშირებით. იდეის წარდგენა.
განცხადება ერთვის დანართის სახით.

ნინო ხუხუა (საბჭოს წევრი) - სასურველია, რომ საბჭოს განხილვაზე წარმოდგენილი იყოს სრულყოფილი პროექტული განაცხადი და არა მხოლოდ იდეა, ვინაიდან რთულია იდეით იმსჯელო პროექტის რელევანტურობაზე.

ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - აღნიშნული პროექტი შეთანხმებული უნდა იყოს ახლად ჩამოყალიბებულ არქიტექტურის ა(ა)იპთან, რადგან მათ ახალი სტანდარტები გააჩნიათ.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კოხრეიძე, ნინო ხუხუა, ლია გვენეტაძე, ინგა აბრამიძე, ქეთევან ბერძენიშვილი, გიორგი ჭიჭინაძე, ლევან როხვაძე, მეგი ნიჟარაძე, გია ცალანი, ომარ კიკვიძე, ემზარ ღვინიანიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, მაია ყუფარაძე, თემურ ამყოლაძე, მამუკა თევდორაძე, ხვიჩა ძინძიბაძე, ხვიჩა ვაშაყმაძე.

საბჭოს წევრებმა ცნობად მიიღეს ბატონი გიორგი ლომთაძის მიერ წარმოდგენილი პროექტი.

3. ვოლის-ჯე - პირობები, კრიტერიუმები და ვადები;

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კოხრეიძე, ნინო ხუხუა, ლია გვენეტაძე, ინგა აბრამიძე, ქეთევან ბერძენიშვილი, გიორგი ჭიჭინაძე, ლევან როხვაძე, მეგი ნიჟარაძე, გია ცალანი, ომარ კიკვიძე, ემზარ ღვინიანიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, მაია ყუფარაძე, თემურ ამყოლაძე, მამუკა თევდორაძე, ხვიჩა ძინძიბაძე, ხვიჩა ვაშაყმაძე.

ერთხმად დაადგინეს: საბჭოს მიერ შერჩეული პროექტი ხელახლა არ უნდა ექვემდებარებოდეს კენჭისყრას. გამოვლენილი გამარჯვებული პროექტი აუცილებლად უნდა დაფინანსდეს, როგორაც ამას კონკურსის პირობები ითვალისწინებს. რეკომენდაციით მიმართავენ ქალაქის მერს განახორციელდეს 2018 წელს ვოლის.ჯი კონკურსის მეშვეობით გამოვლენილი გამარჯვებული ინიციატივის.

4. სურსათის უვნებლობის საკითხი - ლია გვენეტაძის ინიციატივა.
საკითხი არ წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მერის კომპეტენციას და მისი განხილვა არ მოხდა.

5. საბრძოლო დიდების მუზეუმი, ექსპონატების განახლება- ინიციატორი მაია ყუფარაძე.

გაირკვა, რომ მუზეუმში მოხდა ექსპონატებისა და თემატიკის განახლება, თუმცა უახლოეს სხდომაზე მოიწვევს შესაბამისი აიპის ხელმძღვანელს და მოისმენს საკითხს შემდგომი რეაგირებისათვის.
მრჩეველთა საბჭოს მე-13 სხდომა დაინიშნა ამა წლის 30 მაისს 13:00 საათზე, მერიის სათათბირო დარბაზში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი ნუგზარ კოხრეიძე